ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №99

2014 წლის 23 ივლისი,
ქ. ბათუმი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013-2014 სასწავლო წლის კურსდამთავრებული, აკადემიური დავალიანების მქონე ზოგიერთი სტუდენტისათვის გამონაკლისის დაშვების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43–ე მუხლის მე–12 პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 და 66–ე მუხლების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013-2014 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტებს, რომლებიც ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ აქტის გამოსაცემად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მომართავენ ბსუ-ს, სწავლის გაგრძელების მოთხოვნით, მიეცეთ შესაძლებლობა 2014-2015 სასწავლო წლის ბოლომდე აითვისონ დავალიანებული საგნები (კრედიტები);
2. ამ დადგენილებით განსაზღვრული კატეგორიის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა 2014-2015 სასწავლო წელს, დადგენილ ვადებში გაიარონ ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია. ამ რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში კი გამოცემული იქნას ბრძანება მათთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.
3. სტუდენტებს, რომელთა დავალიანებული კრედიტების რაოდენობა აღემატება 75–ს, შეუწყდეთ სტუდენტის სტატუსი, გამონაკლისის დაშვების გარეშე;
4. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ეთხოვოს „რსუ-ს სტუდენტთათვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ რექტორის ბრძანებების საფუძველზე, წინამდებარე დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაბამისი აქტების გამოცემა;
5. ეს დადგენილება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობისა და ფაკულტეტების დეკანატების საინფორმაციო დაფებზე, ასევე გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“;
6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**